ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №56

2014 წლის 15 მაისი,
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგად ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მინით შემუშავებული რეკომენდაციები (დანართი 1) და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურებს და დარგობრივ დეპარტამენტებს;
2. აღნიშნული შენიშვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნას 2014-2015 სასწავლო წლის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას;
3. **დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.**

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1.

1) სწავლისა და სწავლების ხარისხის დონის ამაღლებისათვის სასურველია დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილი იქნას ურთიერთდასწრების ორგანიზება და შემდეგ მოხდეს ჩატარებული ლექციის/ჯგუფში მუშაობის თუ სხვა აქტივობის განხილვა დადებით და ნაკლოვანი მხარეების აქცენტირებით;

2) სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდების პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უზრუნველყონ შესაბამისი ტრეინინგების ჩატარება;

3) შუალედური და დასკვნითი გამოცდები, სადაც სილაბუსით გათვალისწინებულია ტესტირება, ჩატარდეს ბსუ-ს გამოცდების ცენტრში;

4) უპირატესობა მიენიჭოს გამოცდების წერითი ფორმით ჩატარებას, რადგან გამოცდების მონიტორინგმა და სტუდენტთა გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები ზეპირი გამოცდებისას ხშირად გაურკვეველია;

5) შეფასებისას გაკეთებულ კომენტარებში (ზეპირი/წერილობითი) სტუდენტს უფრო მკაფიოდ მიეთითოს სუსტ და ძლიერ მხარეებზე;

6) ლექციების პროცესში უფრო მეტად მოხდეს თანამედროვე ტექნოლოგიების თუ თვალსაჩინოების გამოყენება;

7) შეფასებისას პროფესორ-მასწავლებლებმა უნდა ისარგებლონ მხოლოდ სილაბუსში მითითებული შეფასების სისტემისა და გამოთვლის წესით;

8) ტესტების შედგენა სტუდენტთა მომზადების დონის შესაბამისად და მისი მუდმივი განახლება;

9) დეპარტამენტის მიერ განხორციელდეს მონიტორინგი შუალედურ და დასკვნით საგამოცდო საკითხებში სილაბუსით გათვალისწინებული მასალის სრულად ასახვისათვის.

10) სტუდენტისათვის მიმდინარე ქულებისა და საბოლოო შეფასების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდების მიზნით შეიქმნას ელექტრონული მართვის სისტემა;

11) ფაკულტეტის ყველა რგოლმა, შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის გაცემა;

12) ბსუ-ს მართვის ორგანოების მიერ მიღებული ბრძანებები, დადგენილებები და გადაწყვეტილებები მიეწოდოს ფაკულტეტის ყველა რგოლს;

13) მომზადდეს სპეციალური ელექტრონული პროგრამა ერთიანი სასწავლო ცხრილის შედგენისათვის;

14) ფაკულტეტების დეკანებმა ჩაატარონ ღონისძიებები სამდივნოს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

15) სასურველია უმოკლეს ვადებში განხორციელდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდის სრულყოფა;

16) ბსუ-ს საბიბლიოთეკო ბაზის შეივსოს ახალი ლიტერატურით;

17) ინტერნეტ მომსახურების ხელმისაწვდომობა- უნივერსიტეტში დაინერგოს WI-FI სისტემა;

18) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაევალოს სველიწერტილების, გათბობისსაშუალებების, წყლისა და კვებისობიექტებთან, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების უმოკლეს ვადებში შესწავლა და შესაბამისი რეაგირება;

19) საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა სტუდენტებთან გააქტიუროს მუშაობა გაცვლითპროექტებთან დაკავშირებით

20) სტუდენტთა მომსახურებისა და მხადაჭერის სამსუხურმა სტუდენტებს დროულად მიაცოდოს ინფორმაცია კულტურულითუ სხვა ღონისძიებების შესახებ

21) ფაკულტეტის ადმინისტრაციამ (დეკანი, დეკანის მოადგილეები) მყისიერი რეაგირება მოახდინოს სტუდენტთა მიერ დასმულ საკითხებზე.